16/12/2025

MES 3 25 0001789691

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 02.12.2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:17 სთ**
**სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი**
**საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟაკ ელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
11. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
12. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
13. **მზია წიკლაური** -შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

***შპს საქართველოს უნივერსიტეტი***
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სულხან სულხანიშვილი - ინფორმატიკის დეპარტამენტის უფროსი;
ბექარ მელაძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
გიორგი პირველი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
კახა ჩხარტიშვილი - პროგრამის თანახელმძღვანელი;
კიმ ტრეისი - პროგრამის თანახელმძღვანელი.

***სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი***
მერაბ დათუაშვილი - ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო პროგრამის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგია" ხელმძღვანელი;
მაია გრძელიძე - პროფესორი;
ნანა თხელიძე - ასოცირებული პროფესორი;
ციცინო თურქაძე - პროფესორი, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზაზა სოხაძე - პროფესორი, სადოქტორო პროგრამის "მათემატიკა" ხელმძღვანელი;
ტარიელ ქემოკლიძე - პროფესორი, მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მირანდა მნაცაკანიანი- ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

*სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
ტრისტან გულბიანი, პრექტორი;
ჯემალ ძაგანია, პრორექტორი;
მაია ხურცილავა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ბერიძე, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის უფროსი;
კახაბერ ხვედელიძე, ,,ფიტნესი და ჯანმრთელობის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

*სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია*
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე- აკადემიის რექტორის მოადგილე;
თამარ რემიშვილი- აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
ნათია მაისურაძე-ხარისხის უზრუნველუოფის ექსპერტი;
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე-ბაკალავრიატის ხელმძღვანელი;
ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად აბუთიძე- ინჟინერიის მიმართულების ხელმძღვანელი;

**აკრედიტაციის ექსპერტები:**
ჯოფრი ნორმან დიკი (Geoffrey Norman Dick) (I საკითხი);
ნანი არაბული (I საკითხი);
გიორგი იაშვილი (წევრი, შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) (I საკითხი);
მარინე ხიზანიშვილი (I საკითხი);
თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი);
ნათია გეგელაშვილი (I საკითხი);
ნია ნათბილაძე (II საკითხი);
ნინო პატარაია (II საკითხი);
ბექა ბენდელიანი (II საკითხი);
გიორგი ტეფნაძე (III საკითხი);
გიორგი თუთბერიძე (III საკითხი);
მიხეილ ბიჭია (III საკითხი);
მამუკა ბენაშვილი (V საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ქეთევან აფთარაშვილმა**.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო, "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიტნესის და ჯანმრთელობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **კი**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ მათი დაწესებულების კლასტერის საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო, "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიტნესის და ჯანმრთელობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**პირველი საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო,

"კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო, "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** კიბერუსაფრთხოების ინჟინერია
**საფეხური:** ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** კიბერუსაფრთხოების ინჟინერია
**საფეხური:** ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** კიბერუსაფრთხოება
**საფეხური:** მაგისტრატურა
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კიბერუსაფრთხოების მაგისტრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 120
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** კიბერუსაფრთხოება
**საფეხური:** მაგისტრატურა
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კიბერუსაფრთხოების მაგისტრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა:** 120
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ხელოვნური ინტელექტი
**საფეხური:** ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინფორმატიკის ბაკალავრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ხელოვნური ინტელექტი
**საფეხური:** ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინფორმატიკის ბაკალავრი
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
**სწავლების ენა:** ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** ახალი

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
საერთაშორისო ექსპერტმა, ჯოფრი ნორმან დიკმა აღნიშნა, რომ კლასტერში წარმოდგენილმა საგანმანათლებლო პროგრამებმა ჯგუფზე მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც უმეტესწილად ემსახურება პროგრამების გაუმჯობესებას. რჩევები ეხება სწავლის შედეგების გადახედვას, კომპეტენციებს და სასწავლო გეგმის შესაბამისობის დაზუსტებას. ასევე, ყურადღება გამახვილდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციაზე, როდესაც ისინი ინიშნებიან აკადემიურ პოზიციებზე. ასევე აქცენტი, გაკეთდა რამდენიმე სასწავლო კურსის სტატუსის კორექტირებაზეც, ეს არის „კიბერუსაფრთხოების ანალიზი“ და „მათემატიკური სტატისტიკა“. რეკომენდაციები გაიცა პროგრამის მიზნების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ასევე რიგი რჩევები, რომლებიც ძირითადად ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. საერთო ჯამში, ექსპერტების მიერ წარმოდგენილი პროგრამები დადებითად ფასდება.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია დაეთანხმა საგნების კორექტირებას და ახალი საგანიც დაამატეს. საბოლოოდ, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი პირველმა აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესი იყო ძალიან სასიამოვნო და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, კერძოდ, 4.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რჩევასთან დაკავშირებით „სასურველია, აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი“ - მას აინტერესებდა რჩევის გაცემის საფუძველი.
ექსპერტმა, მარინა ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ გაცემულია რეკომენდაცია უნივერსიტეტის პერსონალის დებულებასთან დაკავშირებით. ეს საჭიროება წამოვიდა იქიდან, რომ ერთ აკადემიურ და რამდენიმე მოწვეულ პერსონალს უდასტურდებოდათ მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი. უნივერსიტეტს აქვს დებულება, სადაც არ არის განსაზღვრული თუ რა ხარისხი უნდა უდასტურდებოდეს აკადემიურ პერსონალს. დებულებაში ეწერა, რომ თანამდებობა შეიძლება

დაიკავოს აკადემიური ხარისხის არ მქონე, თუმცა გარკვეული გამოცდილების მქონდე პირმა, რაზეც ექსპერტებმა მოითხოვეს დაზუსტება და უნივერსიტეტიც დაეთანხმა ამ რეკომენდაციას, რადგანაც აკადემიური ხარისხის არ მქონედ ითვლება, თუნდაც ბაკალავრის ხარისხის არ მქონე პირი. დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი და უნდა ყოფილიყო დოქტორის აკადემიური ხარისხის არ მქონე პირი, თუმცა ექსპერტებს სურთ მინიმალური ხარისხის დაზუსტება. უნივერსიტეტში არსებობს რამდენიმე მაგისტრის ხარისხის არ მქონე პერსონალი, ისინი პროგრამაში არ არიან ჩართულები, თუმცა ერთი ნამდვილად ჩართულია და Arduino-ს პლატფორმას კითხულობს, მართალია სან-დიეგოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ხარისხი აქვს, თუმცა ეს არის მაინც ბაკალავრიატის ხარისხი. ამასთან არც პროფესიული გამოცდილება უფიქსირდება დიდი, შესაბამისად ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა რეკომენდაციის გაცემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ადამიანი არის მოწვეული პერსონალი და არ უკავია აკადემიური თანამდებობა. საქართველოს უნივერსიტეტში ეგ ნაწილი უმაღლეს დონეზეა დალაგებული, თანაც კანონმდებლობის მიხედვით ამას ვერ დაუშვებს უნივერსიტეტი. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი იძლევა საშუალებას რომ აკადემიურ პოზიციაზე დოქტორის ხარისხის არ მქონე პირიც დაინიშნოს. ეს ოფცია უნივერსიტეტს გამოყენებული აქვს, თუმცა არა ამ პროგრამებთან მიმართებით. თუმცა მაშინ, როდესაც ეს ოფცია გამოიყენა უნივერსიტეტმა, იხელმძღვანელა იმ კრიტერიუმებით, რომლებიც კანონშია მოცემული, მაგალითად, გამოცდილება, კომპეტენცია და სხვა. რაც შეეხება დამატებით, შიდა საუნივერსიტეტო ცენზს, დაწესებულების აზრით, ეს საჭიროა და ბუნებრივიცაა, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. შესაბამისად, დებულებაში დაემატა ჩანაწერი, რომ აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს დოქტორის ხარისხის არ მქონე, თუმცა პროფესიული ნიშნით კვალიფიციურმა პირმა, თუ მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციით. მაშასადამე, დოკუმენტში აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და უკვე დააკორექტირა ინსტიტუციამ, თუმცა მეორე მხრივ, არ არსებობს მსგავსი აკადემიური პირი, რომელიც ექსპერტმა აღნიშნა. ვიზიტის დროს ერთ აკადემიურ პერსონალთან შეიქმნა პრობლემა, რადგან დოკუმენტები არ იყო მიწოდებული, თუმცა ესეც გამოსწორდა ადგილზევე. საბოლოოდ, მოწვეული პერსონალი და პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი აკადემიურ თანამდებობაზე არ არის. თუმცა ზოგად წესზე მაინც განხორციელდა ცვლილებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით რეკომენდებულია, გაიზარდოს დარგის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა. მას აინტერესებდა ორი სამაგისტრო პროგრამიდან რამდენი არის დოქტორის ხარისხის მქონე და ეს რაოდენობა ხელმძღვანელობის თვალსაზრისით თუ იქნება საკმარისი.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუცია თვლის, რომ სრულიად საკმარისია იმ პირთა რაოდენობა, რომელიც პროგრამაშია ჩართული, მაგრამ უნივერსიტეტს აქვს რესურსი გაზარდოს ლექტორების რაოდენობა და ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. მაგისტრანტები შესაძლოა იყვნენ თანახელმძღვანელები, თუმცა ისინი ნაშრომს დამოუკიდებლად არ ხელმძღვანელობენ. ქართულენოვანი პროგრამებისთვის არის 5 აკადემიური პერსონალი, ხოლო ინგლისურენოვანისთვის - 6. იგეგმება პერსონალის გაზრდა, თუმცა ამ ეტაპზე პროგრამის მდგარდობისთვის სრულიად საკმარისია აღნიშნული რაოდენობა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:36**
**დასრულების დრო: 15:01**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**მეორე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგია
**საფეხური:** ბაკალავრიატი
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინჟინერიის ბაკალავრი სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგიაში
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი)
**სწავლების ენა:** ქართული
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

## ექსპერტების პოზიციის განხილვა

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა, მან გამოგზავნა თავისი მიგნებები აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც სხდომაზე თარჯიმანმა გააჟღერა.
ექსპერტის თქმით, მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის ახალი საბაკალავრო პროგრამა მნიშვნელოვანია იმერეთის რეგიონში აღნიშნულ სფეროში განათლებისა და მიმართულების განვითარებისთვის. პროგრამა, რომელიც განხორციელდება დიზაინის და ტექნოლოგიის დეპარტამენტში სათანადოდ არის მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მიერ. გაცემული რჩევები და რეკომენდაციები შეიძლება შეჯამდეს სამი ძირითადი მიმართულებით: 1. თანამშრომლობა, სპეციალიზებული განათლების ეპოქაში აწსუ-ს ორიენტაცია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიურ ასპექტებზე სწორედ არის შერჩეული, თუმცა პროგრამის მიზნები საჭიროებს გარკვეულ ენობრივ კორექტირებას. პროგრამის მიზანია კომპეტენტური ტექნოლოგების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ უახლესი და ინოვეციური მეთოდებით დაგეგმონ და განახორციელონ ტრადიციული და თანამედროვე მოდის დიზაინი. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობა უკვე ხორციელდება იმავე დეპარტამენტის მოდის დიზაინის სხვა პროგრამის სტუდენტებთან და ძირითადად საბაკალავრო პროექტის ფარგლებში, აღნისნული ჯერ კიდევ არ არის სტრატეგიულად დაგეგმილი და სრულად განხორციელებული. ეს ხარვეზი, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება აკრედიტაციის სტანდარტებს, თუმცა უნივერსიტეტს აქვს უზარმაზრაი პოტენციალი გახდეს ლიდერი აღნიშნულ სფეროში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ხელოსნობის და ტექნოლოგიის შექმნა ხელოვნებასთან და დიზაინტან წარმოადგენს მუდმივ გამოწვევას, რომელიც ჯერ კიდევ სრულად არ მოგვარებულა არცერთ ევროპულ ქვეყანაში. ძალიან ხშირად ტექნოლოგია ემსახურება მხოლოდ დიზაინერების მიერ ინდივიდუალურად შექმნილი ესკიზების განხორციელებას, ვინაიდან მათ არ აქვთ წარმოების სპეციფიკის და უახლესი ტექნოლოგიების შესაბამის დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში თუ აწსუ გააერთიანებს რეგიონალურ უპირატესობებს, ჩამოაყალიბებს მყარ თანამშრომლობას დასაქმებულ-დამსაქმებლებთან და 2 საგანმანათლებლო პროგრამას გახსნის ცალ-ცალკე დიზაინზე და ტექნოლოგიაზე ორიენტირებულს, შეძლებს შექმნას თანამედროვე მოდის დიზაინის აღიარებული და წამყვანი ცენტრი. 2. შემდეგი არის ინტერნაციონალიზაცია. აწსუ კარგად აცნობიერებს საკუთარ პოტენციალს და შემუშავებული აქვს ამბიციური ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ორიენტირებულია უკრაინულ და ევროპულ ბაზარზე და პარტნიორბეზე, მიუხედავად ამისა პროგრამაში იკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები და ერთ-ერთი მათგანია ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება. აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავისუფლად ჩაერთონ საერთაშორისო კომფერენციებში და წარადგინონ თავიანთი ხედვები. ინგლისური ენის დონის გაძლიერება არ არის მარტივი, თუმცა აწსუს პოტენციალის გათვალისწინებით ინგლისური ენა წარმოადგენს საერთაშორიოს არენას და ხილვადობის წინაპირობას. 3. შემდეგი არის მდგრადი წარმოება. აწსუ გლობალურ კონკურენციას განიხილავს, როგორც მთავარ ფაქტორს. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანის, რომ კონკურენციაში არ შევიდეთ დაბალი წარმოების მქონე ქვეყნებთან, რომელთა მიზანია იაფი წარმოება. აღნიშნულის ნაცვლად აწსუმ უნდა განაგრძოს მუშაობა უკვე უკვე არსებულ მიდგომებზე მოდის მდგრადი განვითარების მიმართულებით. ქართული გარემო საშუალებას იძლევა შეიქმნას უნიკალური ბალანსი ეკოლოგიას, ადამიანურ რესურსებას და მიმზიდველ ფასებს შორის. ევროპელი მომხმარებლები მზად არიან გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი მდგრადად წარმოებულ მოდაში, რომელიც გამოირცევა კარგი და რეგიონზე დაფუძვნელული ხარისხით, ვინაიდან აცნობიერებენ, რომ წარმოების პროცეში არ დარღვეულა არც ადამიანის უფლებები და არც პლანეტარული ზღვრები. აწსუს აქვს უნიკალური შესაშლებლობა მონაწილეობა მიიღოს განათლების და ეკონომიკური პროცესების

მართვაში, აწარმოოს მწვანე მოდა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. შეჯამების სახით აღინიშნა, რომ აწსუს შეუძლია განახორციელოს პროგრამა მასში მცირე ცვლილებების შეტანით და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მეტნაკლებად ტექნიკური ხასიათისაა. ასევე ექსპერტებს გონივრულად მიაჩნიათ, რომ აწსუმ გააცნობიეროს თავისი პოტენციალი და გადადგას რამდენიმე შემდგომი გაბედული ნაბიჯი საერთასორისო და მდგრადი მოდის წარმოების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შეუქმნის არა მხოლოდ დეპარტამენტს, არამედ მთელს უნივერსიტეტს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური დასკვნის საფუძველზე დაწესებულების მიერ შეიქმნა არგუმენტირებული დოკუმენტი, რომელიც გაზიარებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. საბოლოო დასკვნის ანგარიშმა წარმოაჩინა დიდი თანადგომა შემოქმედებითი გუნდის გაწეული სამუშაოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაციასთან მიმართებით აქვს პოზიცია, მიიჩნევს, რომ ასახული რეკომენდაციები სასარგებლოა და შეესაბამება პროგრამის არსს. საბოლოო დასკვნაში არსებული რჩევები და რეკომენდაციები არ მოითხოვს პროგრამის რადიკალურ ცვლილებებს და მათი შესრულება შესაძლებელია უმოკლეს დროში.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ 4.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა ინგლისურ ენასთან და ტრენინგებთან დაკავშირებით რა ტიპის პრობლემები გამოვლინდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინა ტაბატაძემ აღნიშნა, რომ 30 სექტემბერს იყო ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტზე დაწესებულებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა რეგიონისთვის და თავად უნივერსიტეტს აქვს დიდი გამოცდილება ამ სფეროში. ეს რეკომენდაცია კი იმიტომ გაიცა, რომ ნაკლებად იგრძნობოდა ერასმუსის პროგრამაში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები ჰქონდა პერსონალს, მათი მხრიდანვე იყო სურვილი ენის კვალიფაკაციის ამაღლების, შესაბამისად გაიწერა რეკომენდაციაც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:16**
**დასრულების დრო: 14:25**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 12**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 27[5]მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6]მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის ინდუსტრიის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**მესამე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: მათემატიკა
**საფეხური**: დოქტორანტურა
**სწავლების ენა:** ქართული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: მათემატიკის დოქტორი
**დეტალური სფეროს კოდი:** 0541 - მათემატიკა
**კრედიტების რაოდენობა:** 45
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა ვლადიმერ ადეიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ტეფნაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ მიმართულებაში დაწესებულებას უკვე მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს. წინა პროგრამების ფარგლებში სამი დოქტორანტი წარმატებით დაიცვა დისერტაცია, რაც პროგრამის ხარისხისა და ეფექტიანობის მკაფიო დასტურია. პროგრამა გამოირჩევა მრავალფეროვანი და კარგად დაბალანსებული შინაარსით - ის კონცენტრირებულია დიფერენციალურ განტოლებებზე, ტოპოლოგიაზე, ალგებრა-გეომეტრიასა და მათემატიკურ ანალიზზე. სადოქტორო პროგრამას ემსახურება 11 კვალიფიციური აკადემიური თანამშრომელი, რომლებიც ასევე კითხულობენ საბაკალავრო კურსებს. მათი მეცნიერ-პედაგოგიური გამოცდილება და პუბლიკაციები სრულად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. მაგალითად, ანალიზის მიმართულებას წარმოდგენილი ჰყავს თანამშრომელი, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში 17 აკადემიური პუბლიკაცია აქვს, ხოლო დიფერენციალური განტოლებების მიმართულებით — თანამშრომელი, რომლის ბოლო ხუთწლიანი აკადემიური საქმიანობა 6 პუბლიკაციით დასტურდება.

ექსპერტის თქმით, პროგრამა სისტემურად და გამართულად ფუნქციონირებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად და ეფექტიანად არის ჩართული პროცესებში. წინა აკრედიტაციის შემდეგ პროგრამა მნიშვნელოვნად გამოიცვალა: განხორციელდა არდგომილი რეკომენდაციები, დაახლოებით 20-საათიანი კურსები გადავიდა არჩევით მოდულში, ხოლო სტატისტიკის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე შესაბამისი საგანი ჩაშენდა სავალდებულო მოდულში. მიუხედავად ამისა, ექსპერტის შეფასებით, პროგრამა ზოგადად უფრო მეცნიერულია, ვიდრე ტექნიკური, რაც შესაძლოა საჭიროებს დამატებით გადახედვას. სულ გაიცა 9 რეკომენდაცია. კომპონენტების უმეტესობა სრულ შესაბამისობაშია, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა „მეტწილად შესაბამისობა“. ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა ლიტერატურის ნაწილში არსებული ხარვეზი - მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა ვიზიტის დროსვე აღმოიფხვრა, რეკომენდაცია მაინც გაფორმდა. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით დაწესებულება მაღალი სტანდარტისაა: სტუდენტებისთვის შექმნილია კომფორტული, თანამედროვე და მხარდამჭერი გარემო.
დასაკმაყოფილებლად დარჩენილ საკითხებს შორისაა კურიკულუმის რუკაში შეფასების დონეების დაზუსტება, სამიზნე ნიშნულების რეალურ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ამ ნიშნულებთან დაკავშირებული ჩამორჩენის იდენტიფიკაციის მკაფიო პროცედურების განსაზღვრა. ასევე, 2.4 კომპონენტის ფარგლებში ცალკე იყო გამოტანილი რეკომენდაცია, რომ სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი უფრო მკაფიოდ და დეტალურად უნდა გაწერილიყო.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციიდან მოყოლებული პროგრამაზე უკვე შედგა ერთი სადოქტორო ნაშრომის დაცვა, რომელიც წინა პერიოდში იყო დაწყებული. დოქტორანტს წარმოდგენილი ჰქონდა ხუთი სამეცნიერო ნაშრომი, მაშინ როცა დაწესებულების საბჭო ჩვეულებრივ მხოლოდ ორ ნაშრომს ითვალისწინებს. აღინიშნა, რომ დისერტაცია მაღალი ხარისხის აღმოჩნდა და დაიცვა უმაღლესი ქულით. თავად დაცვის პროცესში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს როგორც ნაშრომის ხარისხს, ისე პროცესის სანდოობას.
მიმდინარე წლის მანძილზე პროგრამას ერთი ახალი დოქტორანტი შეემატა, ერთი სტუდენტის მობილობა კი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. აღნიშნული დოქტორანტი ქუთაისში ცხოვრობს და დოქტორანტურის შეჩერების პერიოდში მას თბილისის კამპუსთან კომუნიკაცია უჭირდა, რის გამოც გადაწყვიტა მობილობით გადმოსვლა.
რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხს, და ამ მიმართულებით უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. ახალმა დოქტორანტმა ორი მოხსენება წარმოადგინა საერთაშორისო კონფერენციებზე, რომლებიც ბათუმსა და ქუთაისში გაიმართა, ხოლო დამატებით დაგეგმილია მონაწილეობა ჩეხეთის კონფერენციაშიც. ეს ნაბიჯები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ახალი რეგულაციების მიხედვით სადოქტორო ნაშრომის დაცვისას ერთი ოპონენტი აუცილებლად უნდა იყოს უცხოელი, ხოლო დოქტორანტის საერთაშორისო ჩართულობა ხელს უწყობს უცხოელი ოპონენტის არჩევის რეალურ შესაძლებლობას. ფინანსური უზრუნველყოფის რეკომენდაციაზე საუბრისას აღინიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად ამზადებს პროექტს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში წარსადგენად, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, მოქმედი დოქტორანტიც ჩაერთვება. ასევე ფუნქციონირებს შიდა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის სისტემა, რომლის ფარგლებშიც სკოპუსის ბაზაში გამოქვეყნებული ნაშრომებისთვის განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ფინანსური წახალისება. მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაციის პასუხად განმარტებულ იქნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს შესაბამის მონიტორინგს. გარდა ამისა, იყო რჩევა, რომ

დაწესებულებას გაეფართოებინა თანამშრომლობა ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებთანაც. ამ მიმართულებით უკვე არის ხელმოწერილი მემორანდუმები ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა დაწესებულებას მიმართა კითხვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. წინაპირობებში მითითებულია „მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი“, რის საფუძველზეც მას აინტერესებდა, კონკრეტულად რას გულისხმობდა დაწესებულება „დიპლომირებული სპეციალისტის“ სტატუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ტერმინი აღნიშნავს იმ პირებს, რომლებიც სწავლობდნენ იმ პერიოდში, როდესაც ჯერ არ არსებობდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 4+2 მოდელი. შესაბამისად, ისინი ვინც დასრულებული აქვთ ხუთწლიანი ერთსაფეხურიანი პროგრამა და სურთ დოქტორანტურაზე სწავლა, მიიჩნევიან პროგრამაზე მიღების პირებად. ციური დურულმა აღნიშნა, რომ რეგულაციებში გამოყენებული განმარტება არ ემთხვევა პროგრამის მიერ ნაგულისხმევ დასაბუთებას, რის გამოც აუცილებელია ამ ჩანაწერის შესაბამისი დაზუსტება.

საბჭოს წევრმა ასევე იკითხა, თუ რატომ არის მითითებული პროგრამის წინაპირობებში ჩანაწერი: „კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე უნდა სწავლა…“, მაშინ, როდესაც პროგრამა ისედაც მთლიანად ქართულენოვანია. დაისვა კითხვა - იგულისხმება თუ არა, რომ არსებობს ინგლისურენოვანი სწავლის შესაძლებლობაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტერმინოლოგიური საკითხები რეკომენდაციის შესაბამისად გასწორდება, ხოლო ენის საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამის პირველი აკრედიტაციის დროს ერთ-ერთი ექსპერტი იყო ჩეხეთიდან, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ პროგრამა მომავალში ინგლისურენოვან ფორმატშიც გახსნილიყო საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად. სწორედ ამან გამოიწვია აღნიშნული ჩანაწერის დამატება.

ციური დურულმა ექსპერტებს მიმართა კითხვით სწავლის შედეგებთან დაკავშირებით - კერძოდ, გადის თუ არა პროგრამის სამივე მიმართულება ინდივიდუალურ შედეგებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული მიმართულება დეტალურად მიესადაგება კონკრეტულ შედეგებს; სამივე მიმართულებას აქვს საერთო მიზნები, თუმცა თითოეული მათგანი დამოუკიდებლად არის მიბმული შესაბამის შედეგზე.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ ექსპერტებს მიმართა ორი შეკითხვით. პირველ რიგში, დასკვნაში მითითებულია, რომ წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რიგი რეკომენდაციები არ იყო სრულად გათვალისწინებული. კითხვით განისაზღვრა, რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი „მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადახედვაში“. შემდეგი კითხვა შეეხებოდა 5.1 კომპონენტში გაცემულ რჩევას - სასურველია, რომ დაინტერესებული პირები უფრო ინტენსიურად ჩაერთონ ხარისხის შეფასების პროცესში, მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ რჩევასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ 5.2 კომპონენტის ძირითადი მიზანი არის იმის გამოკვეთა, თუ რა კითხვები დარჩა წინა აკრედიტაციიდან და საჭიროებს განახლებულ მიდგომას. ამ შემთხვევაში საკითხი უკავშირდებოდა იმას, რომ ნარატივში განთავსებული ერთ-ერთი წიგნი ვერ მოიძებნა. გარდა ამისა, მინიმალური კომპეტენციის ზღვართან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია და 2.4 კომპონენტში მოცემული იყო ორი მიგნება: საჭიროა საბოლოო შეფასების პროცესის დაზუსტება და განმავითარებელი შეფასების ფორმულირების დახვეწა. როგორც აღინიშნა, დაწესებულება ამ მიმართულებით მუშაობს და შესაძლოა ნაწილი უკვე გამოსწორებულიც იყოს, თუმცა რეკომენდაცია მაინც დამრჩა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2024 წლის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გერმანელი ექსპერტი, რომელმაც რეკომენდაციად ჩამოაყალიბა, რომ უნივერსიტეტების უმეტესობაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულაა, რაც დოქტორანტურის დონეზე შეიძლება დაბალ ნიშნულად ჩაითვალოს და მიზანშეწონილია მისი გაზრდა. დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა და განსაზღვრა, რომ დოქტორანტმა სასწავლო კურსი უნდა დაასრულოს მინიმუმ B დონეზე, რაც დაახლოებით 72 ქულას შეესაბამება. ამის გამო დებულებაში შეტანილი იქნა ცვლილება.
შემდგომში, უნივერსიტეტმა თავად განაახლა დებულება ისე, რომ კვლავ ფიქსირდება 51 ქულის ზღვარი, თუმცა მითითებულია, რომ ფაკულტეტს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს ეს ზღვარი. ამასთან ერთად, ფაკულტეტმა პირდაპირ გაათანაბრა დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები, სადაც განისაზღვრა შემდეგი კომპონენტები: დარგობრივი ცოდნა, თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, პუბლიკაციების ხარისხი, კომუნიკაციის უნარების დონე და პრეზენტაციის ვიზუალური ხარისხი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:29**
**დასრულების დრო: 16:41**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 12**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს „მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავდეს არსებითი მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, დაიხვეწოს კურიკულუმის რუკაში შეფასების დონეები (გაცნობა, განმტკიცება, გაღრმავება) და სამიზნე ნიშნულები სასწავლო კურსების რეალურ შინაარსსა და სიღრმესთან თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, დებულებასა და კურიკულუმში ნათლად აისახოს კრედიტების განაწილების პრინციპები, მათი სწავლის ხარისხზე ზემოქმედებისა და დოქტორანტთა კვლევისთვის აუცილებელი მინიმალური კომპეტენციების მკაფიო სტანდარტებზე განმარტებები აკადემიური მოქნილობის შენარჩუნების მიზნით; ასევე, განისაზღვროს სამიზნე ნიშნულების ჩამორჩენის იდენტიფიცირების პროცედურები და პროგრამის გაუმჯობესების სისტემური მექანიზმი;

2. რადგან სადოქტორო პროგრამა არ ითვალისწინებს დოქტორანტების მოზიდვას სტატისტიკის მიმართულებით და ის ფოკუსირებულია მათემატიკური ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების და ალგებრა-გეომეტრიის მიმართულებით, რეკომენდირებულია, რომ სავალდებულო საგანი „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“ გადავიდეს არჩევით კრედიტებში;
3. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს საკანონმდებლო მოთხოვნებთან;
4. რეკომენდებულია, სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის მესამე ბრძანებასთან;
5. რეკომენდებულია, რომ სადოქტორო ნაშრომის შესრულების მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ და დეტალურად განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესები (ტექნიკური მოთხოვნები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანი სტანდარტების დაცვა. აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა დოქტორანტისთვის, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობის შენარჩუნებას ნაშრომების მომზადებისა და შეფასების პროცესში;
6. იმის უზრუნველსაყოფად, რომ დოქტორანტები ფლობდნენ კვლევის განხორციელებისთვის საჭირო ფუნდამენტურ ცოდნასა და უნარებს, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადააფასოს სასწავლო კომპონენტებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრული მაჩვენებლები, როგორც შუალედური შეფასების, ისე დასკვნითი შეფასების ნაწილში, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს სადოქტორო საფეხურის მიზნებსა და აკადემიური ხარისხის სტანდარტებს;
7. მიზანშეწონილია, ფაკულტეტმა მოინდომოს ძირითადი მათემატიკური სახელმძღვანელოების და კვლევითი მასალების კოლექციის (მაგ., ლექციის ჩანაწერები) გაფართოება, რომელიც გასცდება კურსის ძირითად ლიტერატურას, რათა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ კვლევით აქტივობებს. ასევე აღმოჩნდა რომ რამდენიმე სავალდებულო ლიტერატურა ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში ვერ მოიძებნა. აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: Jack K. Hale. Theory of Functional Differential Equations, Springer-Verlag, New York, Heidelberg, Berlin, 1977;
8. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ბეჭდური ან ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში. (Jack K. Hale. Theory of Functional Differential Equations, Springer-Verlag, New York, Heidelberg, Berlin, 1977 და სხვა;
9. მიზანშეწონილია, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში დეტალურად აისახოს ფინანსური სახსრები შემდეგი სფეროებისთვის: (1) მენტორინგისა და პროფესიული განვითარების პროგრამები დოქტორანტებისთვის; (2) საერთაშორისო კონფერენ- ციებში მონაწილეობისა და კვლევითი აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა; (3) გარე დაფინანსების წყაროების მოძიებისთვის კონკრეტული მექანიზმები და სხვა;
10. აუცილებელია წინა აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების ნაწილის (საბოლოო შეფასების პროცესის დაზუსტება, განმავითარებელი შეფასების ფორმალიზება) გადახედვა, მათი გასწორებისთვის საჭირო ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვა და გათვალისწინება პროგრამაში (დეტალურად იხ. ნარატივი);
11. რეკომენდებულია ქართულ და უცხოურ ანალოგ პროგრამებთან ანალიტიკური დადარების დოკუმენტის მომზადება (პროგრამის სტრუქტურის, მიზნების, სწავლის შედეგებისა და სხვა კომპონენტების მიხედვით, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით), ასევე, პროგრამის დახვეწისა და მონიტორინგის პროცესებში დაინტერესებული მხარეების (განსაკუთრებით დამსაქმებლებისა და დოქტორანტების) აქტიური ჩართულობა.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიტნესის და ჯანმრთელობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ფიტნესი და ჯანმრთელობა
**საფეხური**: ბაკალავრიატი
**სწავლების ენა:** ქართული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: სპორტის ბაკალავრი
**დეტალური სფეროს კოდი:** 1014 - სპორტი
**კრედიტების რაოდენობა:** 240
**სტატუსი:** აკრედიტებული

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ საკითხის განხილვას არ ესწრებოდა ექსპერტი - ხათუნა საგანელიძე. სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, იმის გათვალისწინებით რომ დასკვნა დადებითი იყო, საბჭო საკითხს განიხილავდა ექსპერტის მონაწილეობის გარეშე.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდამ მზადა განვითარებისთვის და ყველა საჭირო ნაბიჯს დგამს ამისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:45**
**დასრულების დრო: 16:53**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიტნესის და ჯანმრთელობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიტნესის და ჯანმრთელობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეხუთე საკითხი:** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადეს მზია წიკლაურმა, ქეთევან ნანობაშვილმა და ვაჟა კელიხაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა მამუკა ბენაშვილმა აღნიშნა, რომ წინა რეკომენდაციის დროსაც პროგრამა შესაბამისობაში იყო ხუთივე სტანდარტთან, თუმცა სამი რეკომენდაცია მაინც გაიცა. პირველი რეკომენდაცია იყო ტექნიკური ხასიათის, სწავლის შედეგების რუკაში ტექნიკურად არ იყო გაწერილი გარკვეული საკითხები. მეორე ეხებოდა კურსის დამატებას, რომელიც დაამატა უნივერსიტეტმა და მესამე იყო პერსონალზე. აქ ერთადერთი პრობლემა იყო მეოთხე კურსის განმახორციელებელ პერსონალზე. რეალურად 4 წელი ჰქონდა დაწესებულებას და 4 წლით ადრე ვერ გამოაცხადებდა პერსონალზე მოთხოვნას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისათვის.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:0**
**დასრულების დრო: 17:02**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა**: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

**მომხრე - 13**
**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „საავიაციო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 2 დეკემბერს.**

**დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 2 დეკემბრის 17:17 სთ-ზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან